



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 2 23 0001124626



11/09/2023

„პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის №408413 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2023 წლის 04 სექტემბრის №1076140 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის №408413 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. სააპელაციო კომისია

1. კონკურსანტს უფლება აქვს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს გადაწყვეტილების გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში;

2. სერტიფიცირების ან დარგის ექსპერტის კონკურსის გზით შერჩევის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმის შექმნის უზრუნველსაყოფად, ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია შექმნას სააპელაციო კომისია;
3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული კომისია (შემდგომში - კომისია) უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე რომელიც განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებას კომისიის დამსწრე წევრთა მიერ არჩეული ერთ-ერთი წევრი;
4. კომისია განიხილავს საჩივრებს სერტიფიცირების ან კონკურსის მიმდინარეობის პროცედურულ ნაწილთან დაკავშირებით;
5. სააპელაციო კომისიის მიერ მიიღება ორი სახის გადაწყვეტილება:
 - ა) საკონკურსო ან სერტიფიცირების კომისიის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე;
 - ბ) საკონკურსო ან სერტიფიცირების კომისიისათვის საკითხის ხელახალი განხილვის მიზნით დაბრუნების შესახებ;
6. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. სააპელაციო კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის სხდომის თავმჯდომარის ხმა. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს დააფიქსიროს განსხვავებული აზრი, რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში.
7. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია საჩივრის განხილვისას განმარტებების მიღების მიზნით მოიწვიოს კონკურსანტი, საკონკურსო ან სერტიფიცირების კომისიის ან/და სამდივნოს წევრები;
8. კომისიის სხდომა შესაძლოა ჩატარდეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით.
9. სააპელაციო კომისია საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი ცენტრში რეგისტრაციის თარიღიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.
10. სააპელაციო კომისიის სხდომის ოქმი ფორმდება კომისიის სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შესაბამისი ოქმის შედგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ინდივიდუალურად ეცნობება საჩივრის ავტორს, მის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
11. კომისიის მიერ საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ცენტრის თანამშრომლებისგან იქმნება კომისიის სამდივნო, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის სხდომის ოქმების შედგენას, წარმოებასა და საჩივრის ავტორისათვის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობას და სხვა სახის ტექნიკური და ორგანიზაციული საქმიანობის განხორციელებას.
12. სააპელაციო კომისიის მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სერტიფიცირების კომისია უფლებამოსილია აპლიკანტს ინდივიდუალურად გაატაროს სერტიფიცირების/კონკურსის შესაბამისი ეტაპი, რომლის საფუძველზეც ახლიდან მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას ან ძალაში დატოვოს მის მიერ მიღებული თავდაპირველი გადაწყვეტილება, რა შემთხვევაშიც აპლიკანტს შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს სერტიფიცირების/კონკურსის კომისიის მიერ ძალაში დატოვებული გადაწყვეტილება.
13. ამ თავით განსაზღვრული წესით საკონკურსო ან სერტიფიცირების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება კანდიდატს შეუძლია თითოეული ეტაპის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ."

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
კახაბერ ერაძე

